საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/21

18 თებერვალი, 2020 წ.

ქ. ბათუმი

,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის N 01-02/02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი"–ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს მე-5 მუხლის, „ ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის N06-01/70 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის დ. ბერიძის 2020 წლის 6 იანვრის №1-1/1 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება *,,2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ში მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 იანვრის N 01-02/02 ბრძანებაში, კერძოდ* ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

,, 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის განისაზღვროს მობილობის შემდეგი ვადები:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2020 წლის 11, 12, 13 თებერვლის ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2020 წლის 14 თებერვალი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2020 წლის 14, 17,18 თებერვლის ჩათვლით; „

დ) ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2020 წლის 20 თებერვალი.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განახლებული ინფორმაციის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა.

3. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

4. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

6. დაევალოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების სტუდენტურ პორტალზე განთავსება.

7. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში